# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 86

„2" სექტემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, გლდანის რაიონში მდებარე უსახელო ქუჩისთვის რამაზ შენგელიას სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის პ/ქვეპუნქტის და „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის №6-27 გადაწყვეტილების თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) გლდანის რაიონში (მუხიანის ახალ გზასთან, ალექსი გობრონიძის ქუჩასთან) მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს რამაზ შენგელიას სახელი თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ დადგენილების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

**2.** დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


X_ 484902.211
Y_ 4626286.3055
რამაზ შენგელიას ქუჩა